საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლევან III დადიანი

ლევან III დადიანი, ოდიშის მთავარი 1661–80, ლევან II დადიანის ძმის, იესეს ძე. თავდაპირველად შამადავლე ერქვა. ტახტზე ავიდა ქართლის მეფე ვახტანგ V-ის დახმარებით და თავისი ბიძის პატივსაცემად ლევანი დაირქვა. ცოლად ჰყავდა ვახტანგ V-ის ძმისწული თამარი. 1663 ლ. III დ. თავს დაესხა იმერეთის მეფე ბაგრატ IV-ს, მაგრამ დამარცხდა. ბაგრატ IV-მ მას წაართვა მეუღლე და თვითონ შეირთო, ლევანს კი ცოლად შერთო თავისი და, თინათინი. ეს ფაქტი გახდა მათ შორის შეურიგებელი ბრძოლის მიზეზი. 1672 ოდიშის სამთავროს შეესივნენ ოსმალები, რ-ებიც მიზნად ისახავდნენ ტახტიდან ლ. III დ-ის ჩამოგდებას და მთავრად თავიანთი კაცის დასმას. ლ. III დ. რუხის ციხეში ჩაიკეტა, რ-ის აღება ოსმალებმა ვერ მოახერხეს.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 4, თბ., 1973.

თ. ბერაძე